პანდემია და მუსიკა ანუ კრიზისი როგორც შესაძლებლობა

მარინა ქავთარაძე

საკვანძო სიტყვები: *პანდემია და მუსიკა, კოვიდ 19 და მუსიკა, პანდორა*

Не выходи из комнаты! ...То есть дай волю мебели, слейся лицом с обоями. Запрись и забаррикадируйся шкафом от хроноса, космоса, эроса, расы, вируса

ი. ბროდსკი

2020 წლის პანდემია მძიმედ აისახა მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაზე _ დაიხურა საკონცერტო დარბაზები, თეატრები, კინოთეატრები, საგამოფენო სივრცეები. კრიზისმა მოიცვა მუსიკალური ხელოვნების ყველა სფერო. სწორედ კოვიდ 19-ის ერაში დაკარგულ და შეზღუდულ თავისუფლებაზე, მისი დაძლევის გზებზე მინდა დღეს ვისაუბრო, რომელიც ჩვენი ცხოვრების კრიზისული რეალობით არის გამოწვეული.

ჩინელები სიტყვა კრიზისის დასაწერად ორ იეროგლიფს იყენებენ, რომელთაგან ერთი საფრთხეს, ხოლო მეორე შესაძლებლობას აღნიშნავს და თავად ამას ასე ხსნიან: ხელოვნების ევოლუციის ისტორია კრიზისისა და მისგან გამოტანილი გაკვეთილების, ანუ შესაძლებლობების ისტორიაცაა, რაც კრიზისის წარმატებით დასრულების ნიშანია. შევეცდები არსებულ კრიზისულ ვითარებას ამ კუთხით შევხედო და კრიზისში დანახულ შესაძლებლობებში მისი გადაწყვეტის, თუნდაც შორეული გზებიც დავინახო.

მუსიკალური ეპიზოდები ეპიდემიების ისტორიიდან

ნებისმიერი ხელოვნება ადამიანური განცდებისა და ემოციების სარკეა. ჩვენს ისტორიაში ბევრია მაგალითი იმისა, თუ როგორ მოქმედებდა ტრაგიკული მოვლენები მუსიკაზე. მართალია, მუსიკის ისტორიაში ეპიდემიებმა არ დატოვა ისეთი კვალი, როგორიც ლიტერატურაში, ფერწერასა და კინოში, მაგრამ ცალკეული ნაწარმოებების მიხედვით მაინც შეიძლება მათ შესახებ წარმოდგენა შევიქმნათ. Aამის დასტურად ეპიდემიების კრიზისულ ვითარებაში შექმნილი მუსიკის ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს შეგახსენებთ:

1. აკადემიური მუსიკის ისტორიაში „შავი ჭირის“ პანდემიის ეპოქის პირველი ნაწარმოები ეკუთვნის გიიომ დიუფაის, რენესანსული სტილის ევროპული პოლიფონიის ერთ-ერთ ფუძემდებელს. 1428 წლიდან ფლამანდიელი მუსიკოსი მუშაობდა პაპის კაპელაში რომში, სწორედ მაშინ, როდესაც „მარადიულ ქალაქს“ შავი ჭირი დაეპატრონა. Mდიუფაის ორი მოტეტი, დათარიღებული 1430 წლით, წარმოადგენს ლოცვას აღვლენილს შავი ჭირისაგან დასაცავად წმინდა სებასტიანისადმი, რომელიც VII საუკუნიდან ითვლებოდა ამ სენისაგან მფარველად.

2. 1582 წელს პაოლო კარაჩიელოს მიერ შექმნილი ხუთხმიანი მადრიგალების პირველი წიგნი, რომელიც ასევე მიეძღვნა წმინდა სებასტიანის დღეს, შეიძლება თავისებურ ძეგლად მივიჩნიოთ ეპიდემიისა, რომელიც თავს დაატყდა ლომბარდიას 1576 წელს და მოსახლეობის 15 % იმსხვერპლა.

3. რაინ ვესტფალიის ლუთერანელი პასტორის ფილიპ ნიკოლაის ორი მისტიკური ჰიმნი (1597) „აღსდექ, ხმა გიხმობს მისი” შეიქმნა შავი ჭირის მძვინვარების ჟამს გერმანიაში. ეპიდემიას შეეწირა პასტორის 15 წლის აღსაზრდელი ყმაწვილი, რომელსაც მიეძღვნა ეს ჰიმნები. ნიკოლაის ჰიმნებმა მის სიცოცხლეშივე მოიპოვა პოპულარობა. მათ ტექსტსა და მელოდიაზე იქმნებოდა ნაწარმოებები XVII საუკუნის საუკეთესო ოსტატების მიერ, როგორებიც არიან: მ. პრეტორიუსი, დ. ბუქსტეხუდე, შემდგომ კი ფ. მენდელსონი და მ. რეგერი. მაგრამ, ყველაზე ხშირად მას მიმართავდა იოჰან სებასტიან ბახი, კერძოდKქალწულ მარიამისა და ჟამის დასასრულისადმი მიძღვნილ კანტატებში *BWV* 1 (1725) « Wie schön scheint der Morgenstern” da *BWV* 140 “ Wachet auf, *ruft uns die Stimme”*. ***როდესაც ჩვენ მათ ვუსმენთ, აზრადაც არ მოგვდ****ის, თუ*

რა ვითარებაში შეიქმნა მათი მუსიკალურ-პოეტური პირველწყარო. ჩვენგან განსხვავებითBბახის თანამედროვეებმა ეს კარგად იცოდნენ.[1]

4. თანამედროვე მსმენელი, რომელიც კარგად იცნობს „პეტრეს მონანიების" არიას „Erbarme dich" ბახის „მათეს პასიონიდან", მის განსხვავებულ ტექსტზე შესრულებას ალბათ გაიკვირვებს, თუმცა ეს ტექსტი თავად ბახის მიერ იყო ავტორიზებული და უკავშირდება სამგლოვიარო კანტატას (1729) მიძღვნილს ყვავილის ეპიდემიის დროს გარდაცვლილ თავად ლეოპოლდისა და მისი ოჯახის წევრების ნეშთის ოჯახურ საძვალეში გადატანის სამგლოვიარო ცერემონიისადმი. როგორც ჩანს, Bბახმა მიმართა იმ დროის ჩვეულ პრაქტიკას – 1727 წელს შექმნილი „მათეს პასიონის" არიისა და გუნდების არსებული ტექსტი ჩაანაცვლა ახლით კანტატაში BWV 244a.[2]

5. ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით XIX საუკუნე ევროპისთვის შედარებით მშვიდი ეპოქა იყო, ვიდრე ტუბერკულოზი არ იქცა საუკუნის «საკულტო» დაავადებად. ვერდი იყო პირველი, ვინც ოპერა „ტრავიატაში" (1852) გამოიყენა ეს თემა სოციალური კონფლიქტის გამძაფრების კონტექსტში, რათა გამოეწვია საზოგადოების სიმპათია კურტიზანი ქალის, ვიოლეტას ბედისადმი. ოპერაში ჭლექის დაავადება არ არის მხოლოდ მელოდრამატული ვნებების ესკალაციის საშუალება - ის მნიშვნელოვანი სიმბოლოა, რომელიც ვიოლეტას დაცემის, სიკვდილის მიზეზსა და ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებებზე დაგვაფიქრებს; „ტრავიატამდე" ქალი პერსონაჟების ერთადერთი სერიოზული „დაავადება" ოპერაში იყო სიგიჟე, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა საოპერო ლიტერატურაში. ამდენად, ვერდიმ გააფართოვა მუსიკალური თეატრის პირობითობით და ტრადიციით დაშვებული დაავადებების სპექტრი.

6. ბავშვის სიკვდილი ყველაზე დიდი ტრავმაა მშობლისათვის, Aამიტომაც ეს თემა დიდხანს ტაბუირებული იყო აკადემიურ ხელოვნებაში. XX საუკუნის დასაწყისისათვის ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა აღინიშნებოდა. ამის დამადასტურებელია პოეტი რომანტიკოსის - ფრიდრიხ რიუკერტის პირადი ტრაგედია _ ქუნთრუშის შედეგად დაღუპული შვილები, რომელთაც მან ლექსების ციკლი მიუძღვნა (1833-34). მიუხედავად მეუღლის, ალმა შინდლერის დიდი წინააღმდეგობისა, მათ მიხედვით გუსტავ მალერმა დაწერა ვოკალური ციკლი „სიმღერები გარდაცვლილ ბავშვებზე" (1901, 1904). Eეს ნაწარმოები მართლაც ფატალური აღმოჩნდა მალერების ოჯახისთვის, რადგან სულ მალე ქუნთრუშას შეეწირა მათი უფროსი ქალიშვილი ანა მარია.

7. ცნობილი თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორის, ჯონ კარილიანოს 1989 წელს შექმნილი #1 სიმფონიისათვის მთავარი იმპულსი გახდა სულიერი ტრავმა, რომელიც მან სპიდის ეპიდემიის პირველ წლებში მეგობრების დაკარგვით მიიღო. Eეს არის თავისებური მემორიალი სპიდით დაღუპულ მეგობართა ხსოვნისადმი. სიმფონიის სამი ნაწილიდან თითოეული (აპოლოგია-ტანგო, ტარანტელა, ჩაკონა) კონკრეტულად ერთი მუსიკოსისადმი არის მიძღვნილი, რომელთა ვინაობა დელიკატურად არ საჯაროვდება. სიმფონიის მუსიკალური კოლაჟი არის თავისებური ქვილტი (The Quilt - ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი) მიძღვნილი სპიდით დაღუპულთადმი.[3]

8. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის პანდემიას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, „ესპანური" გრიპის გავლენა მუსიკაზე მცირე აღმოჩნდა, ისე როგორც ესპანური გრიპის დროს მუსიკალური ინდუსტრიისათვის მიყენებული ზარალი განუზომლად ნაკლები იყო, ვიდრე ამჟამად. იმ ეგზისტენციალური საფრთხისაგან განსხვავებით, რომელიც კორონა ვირუსმა შეგვიქმნა, კულტურული ცხოვრება გრიპის შემდეგ შედარებით სწრაფად ჩადგა კალაპოტში. იმ პერიოდის მხოლოდ რამოდენიმე სიმღერა და ნაწარმოები შემორჩა, როგორც ეპოქის მუსიკალური დოკუმენტი (მაგ., «The Influenza Blues»). „Musical Courier" **იუწყებო**და, რო**მ ჩიკაგოს ოპერის ასოციაციამ** და **პარიზის კონსერვატორიის ორკესტრებმა** გააუქმეს **კარანტინის გამო სპექტაკლები და** ს**აკონცერტო ტურნეები. ჟურნალი** "Musical America" წერდა[4], რომ „დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება იცო-

1 Schweitzer, Bach, 2004, p.234
2 იქვე, Schweitzer, Bach, 2004, p. 356
3 Насонов, От мотета , 2020
4 Musical America, Influenza Blues, 2018

დე, რომ ვიღაცა – სოლისტი, დირიჟორი ან მთელი პერსონალი აუცილებლად ავად იქნება". Edisonის ფონოგრაფები იყიდებოდა წარწერით _ „თქვენ შეგიძლიათ ნიღბის გარეშე დაესწროთ კონცერტებს, მოუსმინოთ ოპერას, სასულიერო მუსიკას ან მსუბუქ მუსიკას და არ შეუშინდეთ გრიპს". ცხადია, პანდემიამ განუზომლად შეუწყო ხელი ხმის ჩამწერი სტუდიების ბიზნესის განვითარებას მთელ მსოფლიოში.

9. 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პირველ რესპუბლიკას მემკვიდრეობით ერგო ყველა ის პრობლემა, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოს აწუხებდა. თბილისში მძვინვარე დაავადებების ეპიდემიასთან (პარტახიანი ტიფი, ქოლერა დაA ახალი, ე.წ. „ესპანური გრიპი"), ხელისუფლებამ მეტ-ნაკლები წარმატებით გამკლავება შეძლო · ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ 1918-21 წლებში თბილისში არნახული მუსიკალური აქტივობები აღინიშნება, რომელიც თავს უყრის დროში გაფანტულ მუსიკალურ ნაწარმოებებს საპრემიეროდ. ეს თავისთავად გადაჭედილ, ხალხმრავალ დარბაზებსაც გულისხმობს (გავიხსენოთ რ. გოგნიაშვილის „ქრისტინესა" და სამი კლასიკური ოპერის პრემიერა 1919 წელს - ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" და დოლიძის „ქეთო და კოტე", ინტენსიური საკონცერტო ცხოვრება და სხვ.). თუმცა, აღსანიშნავია ცალკეული შემთხვევა, რომელიც ეპიდემიას გვახსენებს, მაგ., ის რომ ვანო სარაჯიშვილს ესპანური გრიპი მძიმედ გადაუტანია, რის გამოც არ მონაწილეობდა „აბესალომის" საპრემიერო სპექტაკლში.[5]

პანდემიის გაკვეთილები, მუსიკა კარანტინში

2020 წლის COVID-19-ის პანდემიამ მთელ სამყაროს დაანახა, რომ ვირუსის წინაშე ყველა თანაბარია _ მეფის შთამომავალიც, პრემიერიც, ბომჟიც, და არც ეროვნული კუთვნილებით განასხვავებს ერთმანეთისაგან ადამიანებს. კორონავირუსმა მდგრადობაზე დატესტა ქვეყანაში არსებული ყველა სფერო, განსაკუთრებით დაზარალდა მუსიკალური ინდუსტრია და ფრილანსერები; ექსპერიმენტების მორევში გადააგდო მთელი საგანმანათლებლო სისტემა, მათ შორის სახელოვნებო. არსებობის ახალმა პირობებმა ბოთლიდან ორი ჯინი გამოუშვა: მუშაობა დისტანციურად და ონლაინ განათლება, რომელიც ჩვენი ყოველდღიურობის ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახდა, როგორც პირბადე, ხელთათმანი და სოციალური დისტანცირება.

ამავე დროს კოვიდ 19-ის პანდემიის გამოწვევები მრავალი ცვლილების დასაბამი გახდა და არა მარტო ნეგატიურ კონტექსტში, არამედ პოზიტიურშიც ახალი მიმართულებების, შემოქმედებითი პროცესების, სწავლების მეთოდოლოგიის და მრავალი სიახლის დანერგვის კუთხით.[6]

რა დავკარგეთ და რა შევიძინეთ ამ პროცესში და რა გვასწავლა კორონამ?

2020 წელს, ერთი მხრივ, ცალკეული ქვეყნების იზოლაციისა და საზღვრების ჩაკეტვამ გლობალიზაციის იდეა ეჭვის ქვეშ დააყენა, მეორე მხრივ, მუსიკალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებს თუ მივადევნებთ თვალს, ურთიერთობა ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი აღმოჩნდა, რაშიც ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავაკვირდებით ბოლო თვეების მუსიკალურ ცხოვრებას, რომელმაც სრულად ინტერნეტში გადაინაცვლა. კარანტინის დროს სახლებში გამოკეტილი ადამიანების თვითგამოხატვის ფორმა და ერთმანეთთან ურთიერთობის ყველაზე მისაღები საშუალება მუსიკა აღმოჩნდა. ეს ინტერნეტში განთავსებული Home-ვიდეო კადრებითაც დასტურდება, განურჩევლად იმისა, იტალიაა ეს, ამერიკა თუ საქართველო.

- გაჩნდა ახალი საკონცერტო ფორმა _ მსმენელის გარეშე;
- live streaming-ები ვირტუალური მსმენელით;
- არსებული რეალობით შთაგონებული აკადემიური მუსიკის ახალი ჟანრები, მათ შორის ნაწარმოებები შექმნილი სპეციალურად ვირტუალურ სივრცეში პორტირებული მუსიკოსებისათვის;
- შემსრულებლობის ახალი ფორმები ადაპტირებული ონლაინ სივრცეში შესასრულებლად;
- კონკურსები და ფესტივალები ონლაინ რეჟიმში;
- კორონავირუსთან დაკავშირებული ფოლკლორის ახალი ნიმუშები.

5 კაშმაძე, სარაჯიშვილი, 1948, გვ. 40

6 ვიდეოშეხვედრები, 2020

ოპერის თეატრის და საკონცერტო დარბაზების აუდიტორიამ ინტერნეტში გადაინაცვლა და საუკეთესო სპექტაკლებისა და კონცერტების თავისუფალ წვდომაში (მეტროპოლიტენ ოპერა, ვენის საოპერო თეატრი, როიალ ოპერა, ბავარიის საოპერო თეატრი, დიდი თეატრი და ა.შ.)შემოთავაზებულ რეპერტუარს უხვად დაეწაფა. ის რაც აქამდე მიუწვდომლი იყო (დისტანციის, ფასების გამო), ერთბაშად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა და ფართო არჩევანის წინაშე დაგვაყენა. Kკარანტინისა და ლოქდაუნის ჟამს გაჩნდა უხვი სულიერი საზრდო. Dთუმცა, მუზიცირების ყველა ეს ფორმა შეზღუდული თავისუფლების პირობებში მყოფ მუსიკოსებსა და მსმენელს გულისხმობს. ხელოვნებამ „დასწრებულობის მაგია“ (მამარდაშვილი) დაკარგა, მასთან ცოცხლად ზიარების საშუალება მოგვისპო.

რატომ ვმღერით კრიზისის დროს? Mმუსიკა ბადებს თანამონაწილეობის და პიროვნებათა შორის სინქრონიზაციის გრძნობას, რომელიც თავისებური ანტიდოტია იმ სოციალური დისტანცირებისა და გეოგრაფიული იზოლაციის სავალდებულო დაცვის პირობებში, რომელსაც პანდემიის რეგულაციები აწესებს.Aამის დასტურია ის ჩანაწერებიც, რომელიც „სახლში დარჩენილი“ ათასობით მონაწილის საშინაო ვიდეოთია „აკინძული“... - „მათ უნდათ შენს გვერდით ყოფნა“- „They Long To Be”[7].ან 15 ქვეყნის 300 მონაწილე ვირტუალური გუნდით და ორკესტრით სიმღერაში _ „შენ არასოდეს იქნები მარტო“ -»You'll Never Walk Alone».[8] საქართველოს მრავალხმიანი მუსიკალური გზავნილიც მსოფლიოს „შენ მარტო არ ხარ“ ამ პათოსით არის გაჯერებული. [9]

სასულიერო მუსიკის შესრულების უპრეცედენტო აქტი შედგა 2020 წლის 3 მაისს ინტერნეტში. ამ უნიკალურ და რთულ დროში დიდი ბრიტანეთის 65 ეკლესია და ე.წ. მოძრაობები, რომლებიც ათასობით ადამიანს აერთაინებდა, შეიკრიბნენ ინტერნეტში, რათა ერთად ემღერათ ღვთის სადიდებელი დედამიწის გადასარჩენად, იმედით აღევსოთ ვირუსის შიშით შინ გამოკეტილი ადამიანები მათთან სოლიდარობის ნიშნად. Aამ აქციის პათოსი იყო _ ღმერთი არ მიგვატოვებს, კურთხეულ არს ეკლესია, ის შენთანაა.[10]

ალბათ ყველას აქვს ნანახი ინტერნეტში ამღერებული მსოფლიო: იუხანის მოქალაქეები პატრიოტული სიმღერებით რომ ამხნევებდნენ ერთმანეთს ფანჯრებიდან; აივნებიდან ერთმანეთის მხარდასაჭერად და გასამხნევებლად მომღერალი იტალიელები....

ხშირია იუმორით გაჯერებული სიმღერები კორონავირუსზე, როგორიცაა ძველ ჰანგზე მორგებული ვახტანგ კახიძის ახალი სახუმარო სიმღერა „ყველაფერი კარგად იქნება“, ან იტალიაში ქალაქ ბარიში კარანტინში ჩარჩენილი ქართველი სტუდენტების გურული კრიმანჭულიანი სიმღერის ახალი ნიმუში.[11]

სიახლეებს არც ბალეტი ჩამორჩა და ვიხილეთ „გედების ტბა“ ჰოლოგრამებიანი კორდებალეტითა და ორი ოდეტათი.

ამ პერიოდში ააჟღერეს კორონავირუსის მიკრო სამყაროც, რომელიც შეიქმნა კორონავირუსის „სპაიკცილების“ სტრუქტურის მელოდიად გარდაქმნის შედეგად, თურმე მასაც თავისი მუსიკალური ენა ჰქონია.

დაიწერა მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიც, ეპოქის თავისებური დოკუმენტები აკადემიური ელექტროაკუსტიკური მუსიკის სფეროში, სპეციალურად ვირტუალური შესრულებისთვის, როგორიცაა კოკა ნიკოლაძის „პანდემია“, მართლაც რომ ამ უხილავი ვირუსის დამანგრეველ ძალას და კაცობრიობას თავსდამტყდარი უბედურების მასშტაბებს რომ გადმოგვცემს. Nნაწარმოები შექმნილია ოსლოს ფილარმონიის დაკვეთით ციფრული კონცერტისათვის, რომელიც ლოკდაუნში მყოფი ასზე მეტი ორკესტრის მუსიკოსის მიერ იყო ჩაწერილი სპეციალური პროგ-

7 იხ. Couch Choir - (They Long To Be) Close To You - https://www.youtube.com/watch?time_continue=59&v=HezxlnuN1YA&feature=emb_logo (28/06/2021)

8 იხ.You'll Never Walk Alone" Virtual Choir/Orchestra 15 Countries: 300 People https://www.youtube.com/watch?v=6gpoJN-v5dIQ (28/06/2021)

9 იხ. საქართველოს პირველი არხის მრავალხმიანი მუსიკალური გზავნილი მსოფლიოს - შენ მარტო არ ხარ - https://www.youtube.com/watch?time_continue=3&v=A-hEt0TUYis&feature=emb_logo (28/06/2021)

10 იხ. The UK Blessing — Churches sing 'The Blessing' over the UK - https://www.youtube.com/watch?v=PUtIl3mNj5U&feature=youtu.be&fbclid=IwAR3QULRbv1ceYbRUPwR4eb2-b1uqU3PW_ZtjI3EKNWT1XMKtbe4jB2uKQuU (28/06/2021)

11 ქართული სიმღერა კორონავირუსის შესახებ - https://www.youtube.com/watch?v=iS4Q6vzMQLw

რამით. მსოფლიო პრემიერა შედგა ინტერნეტით 20 აპრილს.[12]

საგანგებო მდგომარეობის დროს შეიქმნა და კონფერენციამდე ერთი კვირით ადრე, ფეისბუკზე მოხდა ეკა ჭაბაშვილის ნანო-ოპერა „პანდორას" პრეზენტაცია[13], რომელიც სპეციალურად ვირტუალური სივრცისთვის არის განკუთვნილი. „შევეცადე ბოლო თვეებში განცდილი მოვლენებისთვის თავი მომეყარა ერთ ნაწარმოებში, რომელიც ისეთივე ერთი ციცქნაა, როგორც პანდორას ყუთი, სადაც მთელი კაცობრიობის მანკიერება იყო გამომწყვდეული"- წერს ე. ჭაბაშვილი.Aამ ე.წ. „ოპერით" ჭაბაშვილმა ქართულ მუსიკაში საფუძველი ჩაუყარა ახალი დოკუმენტური ვიდეო-ოპერის ჟანრს, რომელიც წარმოადგენს პანდემიის დროს გავრცელებული დოკუმენტური კადრებისგან შექმნილ 8-წუთიან ვიდეო-კოლაჟს ორიგინალური ელ. მუსიკით, რომლის პირველწყარო გახდა ვოკალური და ვერბალური ხმოვანების 4 ჩანაწერი. ნანო-ოპერის მუსიკას წარმოადგენს ამ ჩანაწერების ტრანსფორმირების შედეგად მიღებული ჟღერადობა, რომელიც ნაწილობრივ დამონტაჟებულია ფილმის გახმოვანების პრინციპით. ოპერის სახელი "პანდორა" სიმბოლურია მსოფლიოში შექმნილი ვითარების და პანდ-ემიასთან სიტყვათა გათამაშების გამო. ვიდეო-ოპერის დრამატურგია ემყარება ორ სამყაროში მიმდინარე პროცესების გადმოცემას პარალელური მონტაჟის მეშვეობით. 1-3-5 ეპიზოდი ასახავენ იმ რეალობას, რაც ჩვენს გარშემო მაკროსამყაროში, ხოლო 2-4- ეპიზოდი კი ასახავს იმას, რაც ჩვენს მიკროსამყაროში ხდება. ოპერა შედგება 5 ეპიზოდისაგან (5 მუტაცია), რომელიც ტრადიციული ოპერის მოქმედების ანალოგია, ხოლო ბოლო ნაწილი - კომმუტაცია ეპილოგის როლს ასრულებს. ყოველ ეპიზოდს აქვს სახელი, რომელთა კიდურწერილობა გვაძლევს სიტყვას _ covid 19.

მუტაცია 1 - **კ**-ლასტერი (ჟღერადობაში გადატანილი კლასტერი);

მუტაცია 2 - **ო**-აზისი (ჩვენი მიკრო სამყარო);

მუტაცია 3 - **ვ**-ერდიქტი (მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები);

მუტაცია 4 - **ი**-ლუზია (ვირუსიც აღმოჩნდა ახალ სამყაროში);

მუტაცია 5 - **დ**-ემოკრატია (ღამურა და პრევენცია);

კომ-მუტაცია - **19**-მოციქული (იმედი პანდორას ყუთიდან).

ბოლო ეპიზოდი (კომმუტაცია) კი ასახავს პანდორას ყუთიდან ამოფრენილ იმედს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სანამ ადამიანებში აზრთა სხვადასხვაობა იარსებებს, გამოსავალის მოძებნის შანსიც არის.

ოპერას სამი მთავარი „პერსონაჟი" ჰყავს: ვირუსი, ღამურა და პანდორა, რომელთაც ერთგვარი საკუთარი ნანო-ლაიტ-ტემბრები აქვთ (ვირუსს _ ბავშვის ხმა, ღამურას _ მამაკაცის ხმა, კივილის _ scream როკ ვოკალის ეფექტით, პანდორას _ ქალის). წარმოდგენილი არიან ასევე პერსონაჟები გუნდურად: კლასტერის სახით იტალიის ქალაქების მერები (თავიანთი ცნობილი ვიდეო მიმართვებით), 19 მოციქული (ფესტივალ „ქალი და მუსიკის" დისკუსიის მონაწილეები), ინტეგრინ და სხვ. „ჩემი ნანო-ოპერა არ არის თეატრი, თუმცა არც მთლად კინო ხელოვნების ნიმუშია, ეს არის შუალედური მულტიმედიური პროდუქტი, სადაც გამოსახულება ითვალისწინებს აზრის გამოსახვის ფორმას, ინსპირაციის წყაროებიდან სიმბოლოების ამოკრეფას და კონსტრუქციის დალაგებას ნანო სამყაროში არსებული პრინციპით, ხოლო მუსიკა მხატვრული შინაარსის გახსნას ემსახურება" _ ეკა ჭაბაშვილი. შინაგანი ემოცია უფრო ნათელი ხდება სიტყვების გარეშე, აღიბეჭდება გამოსახულებაში და ხდება მუსიკის ნაწილი. ამიტომ, უმეტეს ვიდეოს თავისი ორიგინალური ხმა მოხსნილი აქვს, ხოლო იტალიის მერების მიმართვები და საფესტივალო დისკუსიის მონაწილეების ხმები გამოყენებულია როგორც მუსიკალური ხმოვანი კომპონენტი.

Eჩვენი ეპოქის ამ მხატვრული დოკუმენტის ნარატივის ენა დოკუმენტალიზმია, რომელიც მიუხედავად ნანომასშტაბებისა, გლობალურ პრობლემას წამოსწევს. Dდოკუმენტალიზმი ხაზს უსვამს ჭაბაშვილის დრამატურგიის მთავარ ფუნქციას – თხრობის სპეციფიკას. ვიდეო-ოპერაში წინა პლანზეა წამოწეული ისტორიული ავთენტურობის ატმოსფერო, დოკუმენტალისტიკის კონცეფციიდან გამომდინარე არ

12 იხ. Pandemic / for a hundred orchestra musicians in isolation / Koka Nikoladze / Oslo Philharmonic - https://www.youtube.com/watch?v=fxOFnuS9Uio (28/06/2021)

13 Eka Chabashvili Nano-Opera PANDORA - https://www.youtube.com/watch?v=Llyt2mx4izI (28/06/2021)

გამოიყენება მხატვრული ჰიპერბოლიზაციის ხერხი. კომპოზიტორი მსმენელს თვითმხილველის როლს აკისრებს, რომელმაც საბოლოო დასკვნა თავად უნდა გამოიტანოს და შეაჯეროს მომხდარი ფაქტები.

XXX

პანდემიამ დაამტკიცა, რომ ყველაზე მთავარი ღირებულება XXI საუკუნეში ადამიანის უსაფრთხოებაა და მისი შენარჩუნებისთვის კაცობრიობა მზადაა მსხვერპლად გაიღოს ცივილიზაციის მონაპოვარი, რომელიც ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი იყო.

პაუზა მუსიკასა და სცენაზე – აუცილებელი რამაა, ის ბევრ რამეზე მეტყველებს. მუსიკოსებმა მშვენივრად იციან, რომ კარგი შესრულების შემთხვევაში პაუზა „ჟღერს“. იგივე შეიძლება ითქვას ცხოვრებაზეც. დღეს ჩვენ ყველა დამუხრუჭებულ-დაპაუზებულები ვართ და ისმის კითხვა _ ეს დრო ჩვენ წაგვართვეს თუ გვაჩუქეს, რამდენად მეტყველია ეს პაუზა, როგორ ჟღერს ის?

ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელი უჩვეულო მდგომარეობა არა მარტო დანაკარგია, რომელიც ჯანმრთელობასა და ცოცხალ ურთიერთობებზე აისახება, არამედ გარკვეულწილად მონაპოვარიცაა. პანდემიის გამო ვირტუალურ სამყაროში საყოველთაო გადასახლება ძალაუნებურად მიგვიყვანს ძველი მოდელების მსხვრევამდე და კრიზისი ახალ შესაძლებლობად გვექცევა. როგორც და როდესაც არ უნდა დასრულდეს ვირუსთან ბრძოლა ამ გამოუცხადებელ ომში, სამყარო ისეთი ვეღარ იქნება როგორც მანამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კაშმაძე შ., ვანო სარაჯიშვილი, თბილისი 1948
- რეხვიაშვილი ჯ. შავი ჭირი, ქოლერა, სახადი, ისპანკა“. . . რას გადაურჩა საქართველო?! 2020, https://www.radiotavisupleba.ge (28/06/2021)
- Musical America, The Influenza Blues , New York, 4 May, 1918
- Schweitzer A., Johann Sebastian Bach (1905), vol.1. Publisher The Macmillan Company, vol.2, New York, 2004
- *Насонов* Р., **От мотета к симфонии, 2020** https://www.classicalmusicnews.ru/articles/ot-moteta-k-simfonii-ili-kratkaja-istorija-muzyki-skvoz-prizmu-jepidemij/ (28/06/2021)
- თბილისის სახ. კონსერვატორიის ვიდეო-შეხვედრების ციკლი „მუსიკის კლასტერი და კოვიდ-ერა“, 2020, 24 აპრილი-12 მაისი - Music cluster & covid era, Tbilisi State Conservatoire 1 / 8 https://www.youtube.com/watch?v=x7pkrRmmIlE&list=PLBEupzHJzl6CGV1CBbMv7GrtqDEmqMZZA

PANDEMIC AND MUSIC OR CRISIS AS AN OPPORTUNITY

Marina Kavtaradze

Keywords: *Pandemic and Music, CO VID-19 and music, Pandora*

Do not leave the room! ...That is, give free rein to furniture, merge with wallpaper.
Lock up and barricade yourself with a closet from Chronos, space, Eros, race, and virus.

I. Brodsky

The 2020 pandemic has had a profound impact on global cultural as concert halls, theaters, cinemas and exhibition spaces have been closed. The crisis has engulfed all spheres of music. The solution is not yet clear. Today, I would like to talk about the lost and limited freedom in the Covid-19 era and ways to overcoming this crisis in our lives.

The Chinese use two hieroglyphs for the word *crisis*, one denotes danger and the other an opportunity. The explanation is as follows: The history of evolution of art is also a story of crises and lessons learned from them and opportunities to deal with them in the future. We will try to look at the current crisis from this angle and see distant ways out through the opportunities observed in the crisis. The paper focuses mainly on creative processes occurring in hard times. The study aims to highlight the novelties caused by the crisis and regard them as an opportunity in the prism of crisis.

Musical episodes from the history of pandemics

Any art is a mirror of human feelings and emotions. In our history there are many examples of how tragic events impact music. Even though epidemics left no such marks on the history of music as on literature, painting, and cinema, we can still have an idea about them thanks to individual works. To prove this, I will present some episodes from the history of music created under the crisis situation of epidemics:

1. In the history of academic music, the first work of the plague pandemic era belongs to Guillaume Du Fay, who is considered the founder of Renaissance-style European polyphony. From 1428, the Flemish musician worked in Pope's choir, exactly when the Eternal City was hit by the plague. Two of Du Fay's motets, dating back to 1430, are prayers for protection from the plague addressed to St. Sebastian, the heavenly from this disease since the 7th century.
2. The first book of 5-part madrigals by Paolo Caracielo in 1582, also dedicated to St. Sebastian, can be viewed as a kind of monument to the epidemic in Lombardy in 1576, killing 15% of the population. This book of madrigals has yet to be performed; its artistic value can be appreciated only through "the eye". We hope that current events will prompt the return of this masterpiece to musical life.
3. Two Mystical Hymns of Philipp Nicolai, a Lutheran pastor of Rhine Westphalia (1597), *Wachet auf, ruft uns die Stimme*, was created during the plague in Germany. The epidemic took the life of Pastor's 15-year-old student, to whom these hymns were dedicated. The initials of the three stanzas of the song form an acrostic in memory of the deceased (Graf zu Waldeck= Wachet auf, Zionhörtdie Wächtersingen, Gloriaseidirgesungen), Nicolai's songs gained popularity in his lifetime. Their texts and melodies were used for their works by the best 17th -century masters, such as M. Pretorius, D. Buxtehude, later by F. Mendelssohn and M. Reger. But most often they were used by Johann Sebastian Bach, notably in the cantatas dedicated to the Virgin Mary and the end of the world: *BWV* 1 (1725) *Wie schön scheint der Morgenstern* and *BWV* 140 *Wachet auf, ruft uns die Stimme*. When we listen to them, we do not even think about the circumstances under which their musical-poetic source was created. Unlike us, Bach's contemporaries were well aware of this.[1]
4. A modern listener familiar with the *Erbarme dich*

1 *Schweitzer,* Bach, *2004*, p.234

aria from Bach's *The St. Matthew Passion* will probably be surprised at hearing it performed to a different text, but the text was authorized by Bach himself and is related to a funeral cantata (1729). While in Köthen, Bach served at Prince Leopold's court, with whom he maintained contact after moving to St. Thomas in Leipzig until the entire family: the prince himself, his wife, and 2 children died of a smallpox epidemic. Bach was commissioned to compose funeral music for the ceremony of translating their remains to the family sepulcher. Apparently, Bach used the usual practice of the time by replacing the existing text of the aria and choirs from The St. Matthew Passion created in 1727.[2]

5. Epidemiologically, the 19th century was a relatively quiet period in Europe until tuberculosis became the "trendy" disease of the century. Verdi was the first to use this theme in his opera *Traviata* in the context of escalating social conflicts to arouse public sympathy for the fate of courtesan Violetta. At the same time, tuberculosis is not the only way to escalate melodramatic passions; it is an important symbol that requires proper interpretation. Tuberculosis symbolically reminds us of the vices of bourgeois society, which is the cause of Violeta's fall and death; before *Traviata*, the only serious illness of female characters in opera was madness, widespread in operatic literature from the second half of the 17th century. Verdi expanded the conditionality of musical theater and the range of diseases allowed by tradition.
6. The death of a child is the greatest trauma for parents, so this topic had long been tabooed in academic art, as evidenced by the personal tragedy of romantic poet Friedrich Rückert whose children died of scarlet fever; to them he dedicated a cycle of poems (1833-1834), basing on which Gustav Mahler (despite great resistance from his wife, Alma Schindler) wrote a vocal cycle, *Songs about Dead Children* (1901, 1904). This work turned out to be fateful for the Mahler family, because their eldest daughter, Anna Maria, soon died of scarlet fever.
7. Main impetus for famous contemporary American composer John Cirigliano's Symphony N1, composed in 1989, was the spiritual experience of losing friends in the early years of the AIDS epidemic. It is a kind of memorial to friends who died of AIDS. Each of the symphony's three parts (Apology-Tango, Tarantella, Chaconne) is dedicated specifically to one musician, whose identities are delicately concealed. Music collage of the symphony is a sort of „quilt (a blanket sewn from scraps of fabric) dedicated to those deceased by AIDS.[3]
8. Although the 1918 Spanish flu pandemic led to great casualties, its influence on music was surprisingly small, as well as the damage to the music industry, smaller than the current crisis. In contrast to the existential threat posed by the coronavirus, cultural life in the post-influenza period improved quickly. Only a few songs and works have survived from that period as cultural documents (e.g. *The Influenza Blues* from Arizona University Library Fund). Musical Courier, New York, 17 October, 1918, reported that the Chicago Opera Association and the orchestras of Paris Conservatory had canceled performances and concert tours due to quarantine. Musical America[4] magazine wrote "one can only know for sure that a soloist, conductor or all the staff will definitely be ill. Edison's phonographs were sold with the inscription 'You can attend concerts without a mask, listen to opera, sacred music and not be afraid of the flu.'" Thus, the pandemic greatly contributed to the development of the recording studio business all over the world.
9. After declaring independence in 1918, the First Republic of Georgia inherited all the problems that worried the world at that time. Two diseases: typhoid fever and cholera raged in Tbilisi. Along with these inherited diseases, the First Republic had to deal with the new Spanish flu epidemic. According to historian Irakli Khvadagiani, thanks to sanitary detachments, the newly elected self-governments managed to overcome the problem more or less successfully[5]. This is evidenced by the fact that 1918-1921 marked unprecedented musical activities in Tbilisi, bringing together musical works scattered over time for a premiere. Crowded halls (e.g. the premiere of three classical operas in 1919: Paliash-

2 Schweitzer, 2004, p. 356
3 Насонов, **От мотета** , 2020
4 Musical America, Influenza Blues, 2018
5 Rekhviashvili, Black plague, 2020

vili's *Abesalom and Eteri*, Arakishvili's *The Legend of Shota Rustaveli*, and Dolidze's *Keto and Kote*), choral music concerts, and others were also held. However, Vano Sarajishvili suffered severely from Spanish flu, which is why he did not participate in the premiere of *Abesalom and Eteri*[6].

Lessons of pandemic, music in quarantine

Coronavirus has put all spheres of the country to test for sustainability, hitting particularly hard the healthcare system and economy, including the music industry and freelancers, and affecting people psychologically. The education system has also been affected, including art thrown into the whirlpool of experiments. New living conditions let two genies out of the bottle: remote work and online education, which have become an integral part of our lives alongside facemask, gloves, and social distancing.

The challenges of the Covid-19 pandemic have already led to many changes, in both negative and positive context, in terms of introducing new directions, implementation processes, teaching methodology, and many other innovations. [7]

What have we lost and what have we gained in this process, and what has corona taught us?

The Covid-19 pandemic has shown the world that everyone is equal before the virus, including royal families, prime ministers, and tramps. Nor does national identity matter to it. On one hand, the isolation of some countries and closure of borders questioned the idea of globalization. On the other hand, if we look at the ongoing processes in the music world, relations have proven vital to people—we can see this easily if we look at the music life of recent months, which has gone online and taken on an unprecedented mass character. Music turned out to be a form of self-expression for people locked at home during quarantine, and a way for communication with one another, as evidenced by the abundance of home videos posted online, regardless of whether this is Italy, America, or Georgia.

- There has appeared a new concert form, one without a listener
- Live streaming
- New genres of academic music created with new technologies, especially for musicians relocating to virtual space
- New forms of performance adapted for online space
- Online competitions and festivals
- New folklore pieces related to coronavirus.

All these music forms involve musicians with limited freedom. I would like to refer to Merab Mamardashvili and paraphrase his words about theatre: "Music has lost the magic of attendance." The theater and concert hall audiences have gone online, to free access to the best performances and concerts (from Metropolitan, Vienna Opera House, Royal Opera Theatre, Bavaria and Bolshoi Theatres, and the like), to absorb the proposed repertoire. What was previously unavailable (due to distance, prices), suddenly became accessible and put us face to face with wide choice. Abundant spiritual subsistence appeared during the quarantine and lockdown. Live streaming has emerged. Consequently, art has lost the magic of attendance; the possibility of live communication is gone.

Why do we sing in crisis? Music evokes a sense of participation and interpersonal synchronization, an antidote for social distancing and geographical isolation set up by pandemic-related regulations. Music is a social balm in this situation. To this testifies *They Long to Be with You*, a recording comprised of the videos of thousands of participants who "stayed at home,"[8] Or the song *You'll Never Walk Alone* performed by 300 virtual choirs and orchestras from 15 countries.[9] Georgia's polyphonic musical message to the world, *You Are not Alone*, is also suffused with the same attitude.[10]

An unprecedented fact of sacred music performance online took place on 3 May, 2020. In this unique and difficult time, 65 churches and movements in the United Kingdom, numbering thousands, gathered online to pray to God for the salvation of the earth. The message of this

6 Kashmadze, Saradjishvili, 1948, p. 40
7 Video meeting cycle, 2020
8 https://www.youtube.com/watch?time_continue=59&v=HezxInuN1YA&feature=emb_logo
9 https://www.youtube.com/watch?v=6gpoJNv5dIQ
10 https://www.youtube.com/watch?time_continue=3&v=A-hEt0TUYis&feature=emb_logo

action was God will not leave us, blessed be the Church, He is with you. [11]

Probably everyone has seen the world singing online: the citizens of Wuhan cheering one another with patriotic songs from the windows, Italians singing on the balconies to support and encourage one another, or Vakhtang Kakhidze's new humorous song *Everything Will be Fine* adopted to Kakhidze's old melody. Equally frequent are humorous songs about coronavirus, such as the latest folk example with a Gurian yodel of the Georgian students stuck in quarantine in the Italian city of Bari.[12]

Nor did ballet lag behind as we watched *Swan Lake* with a holographic *corps de ballet* and two Odettes. In this period, voiced was the microcosm of coronavirus, created via the transformation of coronavirus "spike proteins" as a structure melody; it also has its own musical language.

Important works were also created, a peculiar document of the epoch in the field of electroacoustic music, specially for virtual performance, e.g. Koka Nikoladze's *Pandemic* showing the truly destructive power of this invisible virus and the scale of the disaster befalling humanity. The work was cr commissioned by the Oslo Philharmonic for a digital concert recorded under a special program by more than 100 orchestra musicians in lockdown. The world premiere took place online on April 20. [13]

Eka Chabashvili's nano-opera *Pandora*[14], designed specifically for virtual space, was created during the state of emergency declared due to the 2020 pandemic, with its online presentation held a week before the conference. With this so-called opera, Chabashvili laid the foundation for a new genre of documentary video-opera in Georgian music. This eight-minute video collage used documentary footage spread during the pandemic, accompanied by original electronic music, with 4 recordings of vocal and verbal sounds as the primary source. The music of the nano-opera is the sound produced by transformation (voice mutation, change in speed, frequency, and so on) of these recordings, which is partially mounted on the film sounding principle (via Premiere software).

The name of the opera, *Pand-Ora*, is symbolic of the situation in the world and pun of the word "pand-emic." The dramaturgy of the video is based on the transmission of current processes in two worlds through parallel editing. Episodes 1-3-5 reflect the reality around us, episodes 2-4 what goes on in our microcosm. The opera consists of 5 episodes (5 mutations), an analogue of a traditional opera; the last part commutation plays the role of an epilogue. Each episode has a name; the combination of their initial letters makes the word Covid-19.

Mutation 1: C-luster (the cluster transferred to sound)

Mutation 2: O-asis (our microcosm)

Mutation 3: V-erdict (current processes in the world)

Mutation 4: I-llusion (The virus also appeared in a new world)

Mutation 5: D-emocracy (bat and prevention)

Com-mutation: 19 apostles (the hope from Pandora's box)

The final episode (commutation) depicts the hope that was last to fly out of Pandora's box, which implies that as long as there is a diversity of opinions among people, there is a chance to find a solution. In the overlapping texts of the discussion's one can hear vaguely but intelligible phrases: "Some do not understand this well," "May not hinder but lead the wrong way," "Hopefully humanity will get rid of this someday"—the words of the author, Eka Chabashvili, can be heard in the video from afar.

The opera has three main characters: Virus, Bat, and Pandora, who have their own nano-light-timbres (Virus-child's voice, Bat-male voice with rock-vocal effect, Pandora-female voice). There are also characters presented as a team: mayors of Italian cities in the form of a cluster (with their famous video appeals), 19 "apostles" (discussion participants of the festival "Woman and Music") *integrin,* and so on.

11 https://www.youtube.com/watch?v=PUtIl3mNj5U&feature=youtu.be&fbclid=IwAR3QULRbv1ceYbRUPwR4eb2-b1uqU3PW_Zt-jI3EKNWT1XMKtbe4jB2uKQuU

12 https://www.youtube.com/watch?v=iS4Q6vzMQLw

13 https://www.youtube.com/watch?v=fxOFnuS9Uio

14 https://www.facebook.com/ekachabashvili/videos/10223963338939459/UzpfSTE0NzcwODI1ODU6MzA2MDYxMTI5NDk5NDE0O-jEwOjA6MTU5NjI2NTE5OTotMTMzMjIwNjQ3NjIwMDM5MzMzOQ/

"I tried to gather the events experienced in the last few months in one work; it is as tiny as Pandora's Box, where the vices of all mankind were locked...." Without any bias, I wanted to use these shots to create the musical mood that would help us see reality. Sometimes distinctive sound in the footage reveals more of the truth hidden in the visual. My nano-opera is not theater, though not entirely a cinematic example either, it is an intermediate multimedia product considering the form of image, collection of symbols, from the sources of inspiration and sorting of the construction according to the principle of the nano world; and music serves the purpose of opening the artistic content," Eka Chabashvili says. Deep emotion becomes clearer without words, because it gets inadvertently imprinted on the image and becomes part of the music. This is why original sound has been removed from most of the video (and the mayors' appeals and the voices of the participants in the festival discussion are used as a musical-sound component).

The documentalist approach emphasizes the main function of Chabashvili's dramaturgy, the specificity of narrative. The video opera brings to the forefront the atmosphere of historical authenticity, without applying the means of artistic hyperbolizing based on the documentary concept. The composer assigns the role of an eyewitness to the listener, who should make the final conclusion and summarize facts.

XXX

The pandemic has proved that the most important value in the 21st century is human safety, and for its preservation humanity is ready to sacrifice the achievement of the civilization that has been part of our daily lives. In this process, music has not lost its significance for people. Humanity gets adapted and mobilized in response to Covid-19.

Pause is a necessary thing in music and onstage, it says a lot. Musicians are well-aware that in a good performance a pause does "sound." The same can be said about life. Today we all have been held and paused, and the question is whether this time has been taken from us or given to us, how expressive is this pause, how does it sound?

Not only a virus, natural cataclysms and natural disasters, change life; we also do change it. Cataclysms only give us impetus for this. In my deepest belief, today's unusual situation is not just a loss that affects health and live relations, but is an achievement to some extent. Universal relocation to the virtual world due to the pandemic will involunatrily lead us to break old models, and whenever the fight with the virus in this undeclared war is over, the world can no longer be what it used to be.

REFERENCES:

1. kaSmaZe S., vano sarajiSvili, Tbilisi 1948.
2. Musical America, Influenza Blues, New York, 4 May, 1918
3. rexviaSvili j. Savi Wiri, qolera, saxadi, ispanka"... ras gadaurCa saqarTvelo?! 2020, https://www.radiotavisupleba.ge.
4. Schweitzer, A., Johann Sebastian Bach (1905), vol.2, Publisher The Macmillan Company, New York, 2004
5. Tbilisis sax. Kkonservatoriis videoSexvedrebiᲑ cikli „musikis klasteri da kovid-era", 2020, 24 aprili-12 maisi https://www.facebook.com/search/top/?q=%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%20tbilisi%20state%20conservatoire&epa=SEARCH_BOX
6. *Насонов* Р., **От мотета к симфонии, 2020** https://www.classicalmusicnews.ru/articles/ot-moteta-k-simfonii-ili-kratkaja-istorija-muzyki-skvoz-prizmu-jepidemij/